ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N18

ქ.თბილისი

25 მაისი, 2018 წელი
15[45]საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მარიკა დარჩია

რამინა ბერაძე - სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;

გიორგი ბირბიჩაძე - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ბექა დავითულიანი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;

ლევან დარახველიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;

ირაკლი ზარქუა - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

თევდორე ისაკაძე - სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

თინათინ ნიბლოშვილი - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ჟორჟოლიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

რევაზ სოხაძე - ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე;

თამარ ტალიაშვილი - განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

დავით უთმელიძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარე;

ვახტანგ შაქარიშვილი - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე;

ვლადიმერ ძნელაძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე;

ქეთევან ჯოხაძე - ფრაქციის „ქართული ოცნება-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან ხაბეიშვილი - საკრებულოს წევრი.

სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ. მან ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის საკითხები:

1. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ“;
2. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ“;
3. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის მოედნისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ“;
4. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, მირ ვეზიროვის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ“;
5. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სერგო სურგულაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ევგენი გეგეჭკორის სახელის მინიჭების შესახებ“;
6. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვასილ კიკვიძის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის სახელმწიფო მოღვაწის ბენიამინ ჩხიკვიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;
7. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ვლადიმერ მიქელაძის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ნოე ხომერიკის სახელის მინიჭების შესახებ“;
8. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, სურენ სპანდარიანის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის გიორგი ლასხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;
9. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის ელისაბედ ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ“;
10. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ეკატერინე მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;
11. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ“;
12. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მელიტონ ფილიას ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის სიმონ მდივანის სახელის მინიჭების შესახებ“;
13. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის სამსონ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ“;
14. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე ლომთათიძის სახელის მინიჭების შესახებ“;
15. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის ვლასა მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ“;
16. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის პეტრე სურგულაძის სახელის მინიჭების შესახებ“;
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

20. „შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა“ (ს/ნ.: 204513687) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე“;

21. „შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ.: 406024270) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;

22. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი N2-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

23. „ქ.თბილისში, მარიჯანის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3788 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.069) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლება მონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“;

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

26. „ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.014.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

27. „ქალაქ თბილისში, ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ 554 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის“ (ს/კ.: 404851503) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

28. „ქ.თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.09.443) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;
29. „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზ. N117, 139-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.001.015; 01.13.06.001.011; 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“;
30. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით წარმოდგენილი „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზ. N117, 139-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.001.015; 01.13.06.001.011; 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ საკითხთან დაკავშირებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან წარმოსადგენია დამატებითი მასალა და აქედან გამომდინარე, უმჯობესია, ამოღებული იქნას რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა „ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი წერეთლის გამზ. N117, 139-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.001.015; 01.13.06.001.011; 01.13.06.001.016; 01.13.06.001.036; 01.13.06.001.027) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ საკითხის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან ამოღების წინადადება.
გადაწყვეტილება მიღებული იქნა.

ლევან ხაბეიშვილმა ისაუბრა „შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ.: 406024270) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საკითხზე და განმარტა, რომ 2012 წელს, კონკრეტულ კომპანიას, ერთ ლარად, გადაეცა 15 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, დენდროლოგიური პარკის მოწყობის ვალდებულებით და ამისთვის უნდა განეხორციელებინა სამი მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია. დღეს წარმოდგენილია ხელშეკრულებაში ცვლილებები და ახალი პირობებით კომპანიას ეხსნება 15 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე დენდროლოგიური პარკის მოწყობის ვალდებულება, საუბარია პარკის მოწყობაზე მხოლოდ 7.5 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე, რომელიც შესაძლებელია არ იყოს ერთიანი, რადგან ხელშეკრულება იძლევა იმის საშუალებას, რომ აღნიშნული 7.5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაიყოს და მივიღოთ პატარ-პატარა სკვერები. ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვლინდება კორუფციული ნიშნები, დედაქალაქის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულება საჭიროებს დამატებით შესწავლას და მოითხოვა აღნშნული საკითხის ამოღება რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან.

ირაკლი ზარქუა დაინტერესდა, არის თუ არა გაკეთებული კალკულაცია, თუ რამდენად შესაძლებელია 15 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე დენდროლოგიური პარკის გაშენება სამი მილიონი აშშ დოლარის ინვესტიის განხორციელებით, რადგან, ამ მიმართულების სპეციალისტების აზრით, დაახლოებით 12.5 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე დენდროლოგიური პარკის გაშენებისთვის საჭიროა დაახლოებით ცხრა მილიონ ლარზე მეტი.

ლევან ხაბეიშვილმა უპასუხა ირაკლი ზარქუას მიერ დასმულ შეკითხვას და განაცხადა, რომ სამი მილიონი აშშ დოლარი განსაზღვრული იყო, როგორც მინიმალური ინვესტიცია, ხოლო თუ დღევანდელი ხელისუფლება ფიქრობს, რომ ეს თანხა ამისთვის არასაკმარისია, შეეძლო კომპანიასთან ამ მიმართულებით ეწარმოებინა მოლაპარაკებები.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ კომპანიას, აღნიშნული 15 ჰექტარი მიწის ნაკვეთის გარდა, ასევე, გადაეცა მიწის ნაკვეთი სამშენებლო განვითარებისთვის, რომლის 1 კვ.მ.-ს ღირებულება იყო 1 აშშ დოლარი ღირებულება და ამას ჰქონდა გარკვეული ახსნა. მიუღებელია წინასწარ იმაზე საუბარი, რომ 7.5 ჰექტარი მიწის ნაკვეთი დაიყოფა და იქნება პატარ-პატარა სკვერები, რადგან კომპანიამ უნდა წარმოადგინოს განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც უნდა დაამტკიცოს საკრებულომ და შესაბამისად, როგორც საკრებულოს, ასევე მერიის შესაბამის სამსახურებს აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყოს აღნიშნულ ტერიტორიაზე ქალაქისთვის სასარგებლო პარკის და გამწვანების მოწყობა. რევაზ სოხაძის აზრით, ასევე საინტერესოა, 2012 წელს, კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებისას, დათვლილი იყო თუ არა რამდენად საკმარისი იქნებოდა სამი მილიონი აშშ დოლარი 15 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე დენდროლოგიური პარკის მოსაწყობად.

ლევან ხაბეიშვილმა რევაზ სოხაძის კითხვას უპასუხა კითხვით „თქვენ დათვალეთ და არ იყო საკმარისი?“ მისი თქმით, მთავარი პრობლემა არის ის, რომ ამ ტერიტორიაზე დენდროლოგიური პარკის ნაცვლად, აშენდება კორპუსები.

ბექა დავითულიანი დაინტერესდა, ლევან ხაბეიშვილისთვის არის თუ არა ცნობილი, თუ რა შემოსავალი ექნება ქალაქს ინვესტორთან ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში და რა - წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

ლევან ხაბეიშვილმა ბექა დავითულიანის კითხვაზე განაცხადა, რომ ეს უნდა დათვალოს ხელისუფლებამ და წარადგინოს დოკუმენტი.

გიორგი ტყემალაძე დაინტერესდა ლევან ხაბეიშვილისთვის 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულება იყო მისაღები და დღეს წარმოდგენილი მიუღებელია, თუ არ მოსწონს არც ერთი.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ დენდროლოგიური პარკის ნაცვლად, კორპუსების აშენება არ მოსწონს და ამასთანავე, დღეს არ ხდება იმის შეფასება, 2012 წელს უნდა გაფორმებულიყო თუ არა ასეთი სახის ხელშეკრულება.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულების პირობები არ შესრულებულა და გაუგებარია საუბარი იმაზე, თითქოს მაშინდელ საინვესტიციო პირობას აკეთილშობილებდა ის, რომ მიწის ნაკვეთი გადაცემული იყო დენდროლოგიური პარკის მოწყობის ვალდებულებით. დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული ტერიტორიის განვითარება, ხოლო ის, თუ როგორ მოხდება მისი განაშენიანება, არის შემდგომი ეტაპი და გადაწყვეტილება მიიღება განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვისას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ.: 406024270) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საკითხის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგიდან ამოღების წინადადება.

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ დღის წესრიგით წარმოდგენილი 21-ე საკითხის სათაური შესასწორებელია, კერძოდ, „შპს „ას ჯორჯიას" (ს/ნ.: 406024270) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" ნაცვლად, უნდა იყოს „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას" (ს/ნ.: 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითთმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ას ჯორჯიას" გათავისუფლების შესახებ".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს „ას ჯორჯიას" (ს/ნ.: 406024270) მიმართ გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საკითხის სათაურის შესწორების წინადადება.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. მიღებული იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვარდების რევოლუციის მოედნისთვის პირველი რესპუბლიკის სახელის მინიჭების შესახებ";
2. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ";
3. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ცხრა ძმის მოედნისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის სახელის მინიჭების შესახებ";
4. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, მირ ვეზიროვის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის სახელის მინიჭების შესახებ";
5. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, სერგო სურგულაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის სახელმწიფო მოღვაწის ევგენი გეგეჭკორის სახელის მინიჭების შესახებ";
6. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ვასილ კიკვიძის ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის სახელმწიფო მოღვაწის ბენიამინ ჩხიკვიშვილის სახელის მინიჭების შესახებ";
7. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ვლადიმერ მიქელაძის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის ნოე ხომერიკის სახელის მინიჭების შესახებ";
8. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, სურენ სპანდარიანის ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის გიორგი ლასხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ";
9. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, გრიგოლ მათიაშვილის ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის ელისაბედ ორბელიანის სახელის მინიჭების შესახებ";
10. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ეკატერინე მელიქიშვილის სახელის მინიჭების შესახებ";

11. „ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე აფანასიევის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ“;
12. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მელიტონ ფილიას ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის სიმონ მდივანის სახელის მინიჭების შესახებ“;
13. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის სამსონ ფირცხალავას სახელის მინიჭების შესახებ“;
14. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის ალექსანდრე ლომთათიძის სახელის მინიჭების შესახებ“;
15. „ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, სილიბისტრო თოდრიას ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის ვლასა მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ“;
16. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აბელ ენუქიძის ქუჩის მონაკვეთისთვის სახელმწიფო მოღვაწის პეტრე სურგულაძის სახელის მინიჭების შესახებ“;
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N8-22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N33-141 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
20. „შპს „ბი ეს არ სი დი ჯი დეველოპმენტსა“ (ს/ნ.: 204513687) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის 2016 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის NE-327-16-20255 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეცვლის თაობაზე“;
21. „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ას ჯორჯიას“ (ს/ნ.: 406024270) შორის 2012 წლის 26 სექტემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითთმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებისა და დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ას ჯორჯიას“ გათავისუფლების შესახებ“;
22. „ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, კორპუსი N2-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5496 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.245) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

23. „ქ.თბილისში, მარიჯანის ქუჩის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3788 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.14.03.039.069) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლება მონაცვლეებისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე";

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, თბილისის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ, მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ";

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს - შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/კ.: 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

26. „ქალაქ თბილისში, სამგორის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.014.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

27. „ქალაქ თბილისში, ხევმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ 554 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.12.023.020) შპს „აი ჯი დეველოფმენტ ჯორჯიასთვის" (ს/კ.: 404851503) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, სასყიდლიანი სერვიტუტის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

28. „ქ.თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.09.443) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ";

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ".

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი